საიდ. 720880/03

IR 1155428

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №73-03/14

საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრ „საქპატენტთან“ არსებული სააპელაციო პალატის კოლეგიამ შემდეგი შემადგენლობით: მ. ფრუიძე (თავმჯდომარე), ქ. კილაძე, ი. მუღალაშვილი, თ. ჯაფარიძის მდივნობით განიხილა კომპანიის პაბლიკ ჯოინტ სტოკ კომპანი „კიევსკი კარტონნო-პაპეროვიი კომბინატ” (Public Joint-Stock Company "Kyivskyi kartonno-paperovyi kombinat") სააპელაციო საჩივარი (საიდ. №73-03/14), რომლითაც მოითხოვება სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის „საქპატენტის” სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2014 წლის 10 თებერვლის საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისათვის დაცვის მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ №234/03 ბრძანების ბათილად ცნობა და საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისათვის „Диво” (საიდ. №72088/03 IR 1155428) დაცვის მინიჭება საქართველოში საქონლის სრული განცხადებული ჩამონათვალის მიმართ (მე-16 კლასი).

კოლეგიამ განიხილა სააპელაციო საჩივარი, ექსპერტიზის მასალები, წარმოდგენილი დოკუმენტები და

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა :

საქპატენტის სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2014 წლის 10 თებერვლის №234/03 ბრძანებაზე თანდართული ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, განცხადებული ნიშანი "ДИВО" მსგავსია მადრიდის შეთანხმების ოქმით კომპანიის ობშჩესტვო ს ოგრანიჩენნოი ოტვეტსტვენნოსტიუ „ავანგარდ" (Obchshestvo s ogrannichennoy otvetstvennostiu "Avangard") სახელზე მადრიდის შეთანხმების ოქმით რეგისტრირებული და საქართველოზე გავრცელებული ნიშნისა "ДИВА" (რეგისტრაციის №927515, რეგისტრაციის თარიღი 16/02/2007) მე-16 კლასის საქონლის მსგავსი ჩამონათვლისათვის. ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, ორივე ნიშანი შესრულებულია კირილიცაზე, ამასთანავე, განცხადებული და დაპირისპირებული ნიშანი ორივე ორმარცვლიანია და განსხვავებული ბოლო ასო (განცხადებულ ნიშანში "O", რეგისტრირებულ ნიშანში "A") ვერ ანიჭებს განცხადებულ ნიშანს საკმაო ვიზუალურ და ფონეტიკურ განმასხვავებლობას. ყოველივე ზემოთ თქმული ქმნის ნიშნებს შორის აღრევისა და შესაბამისად, მომხმარებლის შეცდომაში შეყვანის შესაძლებლობას, რის გამოც, განცხადებულ ნიშანს „სასაქონლო ნიშნების შესახებ" საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტის თანახმად უარი ეთქვა დაცვის მინიჭებაზე.

აპელანტი კომპანია პაბლიკ ჯოინტ სტოკ კომპანი „კიევსკი კარტონნო-პაპეროვიი კომბინატ" არ ეთანხმება გასაჩივრებულ ბრძანებას შემდეგ გარემოებათა გამო:

აპელანტის განმარტებით, დაპირისპირებული ნიშნები განსხვავდება ერთმანეთისგან როგორც ვიზუალურად, ისე ფონეტიკურად და სემანტიკურად. მიუხედავად იმისა, რომ განცხადებული და დაპირისპირებული ნიშნები ორივე შესრულებულია კირილიცათი, განცხადებული ნიშანი შესრულებულია სტილიზებული ასოებით, ამასთანავე, განცხადებულ ნიშანში გამოყენებული მხოლოდ პირველი ასოა მთავრული „Д", ხოლო მომდევნო სამი ასო „и", „в", „о" მცირე ზომისაა, მაშინ, როდესაც დაპირისპირებული ნიშანი შესრულებულია მთავრული ასოებით „ДИВА". სიტყვიერი ელემენტი „Диво" შესრულებულია თეთრ

ფერში და მოთავსებულია ლურჯ-ცისფერ ოვალურ გამოსახულებით ელემენტზე, რომელსაც ირგვლივ შემოვლებული აქვს თეთრი და ლურჯი რკალები, შესაბამისად ნიშანი მომხმარებლის მიერ ვიზუალურად აღიქმება სრულიად განსხვავებულად, ვიდრე დაპირისპირებული ნიშანი „ДИВА". გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ განცხადებული ნიშანი შესრულებულია კირილიცას სტილიზებული ასოებით, იგი არ იკითხება ერთმნიშვნელოვნად როგორც „Диво", არამედ მომხმარებელმა შეიძლება იგი წაიკითხოს, როგორც ლათინური ასოებით შესრულებული აღნიშვნა „Dubo". ამ მოსაზრების დამამტკიცებელ გარემოებას წარმოადგენს ის ფაქტი, რომ აპელანტ კომპანიას სასაქონლო ნიშნები „DUBO", „Дубо", „Дубо + გამოსახულება" დარეგისტრირებული აქვს რუსეთის ფედერაციასა და ბელორუსში. აპელანტის პოზიციით, ნიშნები, ასევე, განსხვავდებიან ფონეტიკურადაც. ფონეტიკურ განსხვავებას განაპირობებს დაპირისპირებული ნიშნების განსხვავებული დაბოლოებები, კერძოდ, განცხადებული ნიშანი ბოლოვდება ასოთი „O", ხოლო დაპირისპირებული - ასოთი „A" და შესაბამისად, ისინი განსხვავებულად გამოითქმის - „დივო" და „დივა", ხოლო თუ განცხადებული ნიშნის წაკითხვა მოხდება ლათინური ტრანსკრიპციით, მისი ჟღერადობა იქნება სრულიად განსხვავებული - „დუბო". დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნები განსხვავდებიან სემანტიკურადაც, კერძოდ, ორივე ნიშანს აქვს აზრობრივი დატვირთა: განცხადებული ნიშანი „ДИВО", ქართულად ნიშნავს „სასწაულს", „საოცრებას", ხოლო დაპირისპირებული ნიშანი „ДИВА" – საესტრადო მომღერალს, საოპერო ხელოვნებაში გამოჩენილ მომღერალს, პრიმადონას. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით კი მართლმსაჯულების ევროპულ სასამართლოს აქვს შემდეგი მიდგომა: თუ დაპირისპირებულ სასაქონლო ნიშნებს აქვს სემანტიკური მნიშვნელობა, ნიშნებს შორის უმნიშვნელო განსხვავებაც კი საკმარისია იმისათვის, რომ მოხდეს ორივე ნიშნის რეგისტრაცია და მათი თანაარსებობა ერთ სასაქონლო ბაზარზე. ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე ცხადია, რომ დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნები იმდენად განსხვავებულია, რომ ერთ სასაქონლო ბაზარზე მათი თანაარსებობის შემთხვევაში არ მოხდება მათი აღრევა და მომხმარებლის შეცდომაში შეყვანა. აღნიშნულ მოსაზრებას ამყარებს ის

გარემოებაც, რომ განცხადებული და დაპირისპირებული ნიშნები გამოიყენება სახვადასხვა ტიპის საქონლისათვის, კერძოდ, ნიშანს აპელანტს იყენებს ტუალეტის ქაღალდისა და ხელსახოცებისათვის. ამასთან, აპელანტ კომპანიას 2007-2013 წლების განმავლობაში გაფორმებული აქვს ხელშეკრულება ადგილობრივ კომპანიასთან შპს „ტიტანი 2002“ და ახორციელებს ნიშნით „ДИВО” მონიშნული ტუალეტის ქაღალდისა და ხელსახოცების იმპორტს საქართველოში. შესაბამისად, იგი არის ტუალეტის ქაღალდისა და ხელსახოცების ერთ-ერთი მსხვილი იმპორტიორი საქართველოში, აღნიშნულის დასტურად სააპელაციო საჩივარს თან ერთვის ზემოაღნიშნული ხელშეკრულებების ასლები, საიდანაც ჩანს, რომ 2007-2013 წლებში ხელშეკრულებები გაფორმებულია 18 000 000 დოლარის ღირებულების საქონელზე. რაც შეეხება დაპირისპირებულ კომპანიას, იგი ნიშანს „ДИВА” იყენებს ჰიგიენური საფენებისათვის. ამასთანავე, მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნის მფლობელი კომპანია არ ახორციელებს აღნიშნული საქონლის იმპორტს საქართველოში. იმ ფაქტის დასტურად, რომ დაპირისპირებული ნიშნის მფლობელი კომპანია არ აპირებს საქონლის საქართველოში იმპორტს, სააპელაციო საჩივარს თან ერთვის დაპირისპირებული ნიშნის მფლობელი კომპანიის „ობშჩესტვო ს ოგრანიჩენოი ოტვეტსტვენნოსტიუ „ავანგარდ“ მიერ გაცემულ თანხმობის წერილი, რომ იგი არ არის წინააღმდეგი, მიენიჭოს დაცვა საქართველოში აპელანტის სახელზე განცხადებულ სასაქონლო ნიშანს „ДИВА” (№1155428). აპელანტის მითითებით, აპელანტი კომპანია დაინტერესებულია ინტენსიურად გამოიყენოს სხვადასხვა შრიფტით, დამატებითი სიტყვიერი ელემენტებითა და გამოსახულებებით შესრულებული სასაქონლო ნიშანი „Диво“ , აგრეთვე, ეტიკეტის დიზაინი, რის დასტურდება სააპელაციო საჩივარზე თანდართული დოკუმენტებით, ასეთი ნიშნების უკრაინაში, ბელორუსსა და რუსეთის ფედერაციაში რეგისტრაციის შესახებ. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, აპელანტი ითხოვს საქპატენტის სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2014 წლის 10 თებერვლის საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისათვის დაცვის მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ №234/03 ბრძანების ბათილად ცნობას და საერთაშორისო სასაქონლო

ნიშნისათვის „Диво” (საიდ. №72088/03 IR 1155428) დაცვის მინიჭებას საქართველოში საქონლის სრული განცხადებული ჩამონათვალის მიმართ.

კოლეგიამ განიხილა მხარის არგუმენტაცია, საქმეში არსებული მასალები და მიიჩნია, რომ სააპელაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

„სასაქონლო ნიშნების შესახებ” საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „გ” ქვეპუნქტის თანახმად, სასაქონლო ნიშანი არ რეგისტრირდება, თუ „მესამე პირის სახელზე რეგისტრირებული, უფრო ადრინდელი პრიორიტეტის მქონე სასაქონლო ნიშნის მსგავსია, ხოლო საქონელი – იდენტური ან იმდენად მსგავსი, რომ ჩნდება ამ სასაქონლო ნიშნების აღრევის, მათ შორის, ასოცირების შედეგად აღრევის შესაძლებლობა”.

კოლეგია ვერ გაიზიარებს აპელანტის პოზიციას და მიაჩნია, რომ განცხადებული და დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნები წარმოადგენენ აღრევამდე მსგავს სასაქონლო ნიშნებს. ისინი მსგავსია როგორც ვიზუალური, ისე ფონეტიკური თვალსაზრისით. განცხადებული ნიშანი „Диво”, ისევე როგორც უფრო ადრინდელი პრიორიტეტის მქონე დაპირისპირებული სასაქონლო ნიშანი „Дива”, შესრულებულია კირილიცათი. ამასთან, ორივე ნიშანი შედგება ოთხი ასოსაგან, რომელთაგან პირველი სამი ასო „Див” და „Див” იდენტურია. განსხვავებულია მხოლოდ ნიშნების ბოლო ასოები „о” და „а”, რაც არ ანიჭებს ნიშნებს ვიზუალურ განსხვავებას. ამასთან, აღსანიშნავია განცხადებულ ნიშანში არსებული ლურჯი ფერის მარტივი გეომეტრიული ფიგურა, ოვალი, რომელზეც გამოსახულია სიტყვა „Диво”. კოლეგია მიიჩნევს, რომ ასეთი სახის გამოსახულებითი ელემენტი, არ სძენს ნიშანს საკმარის განმასხვავებლობას, განსაკუთრებით იმ პირობებში, როდესაც ნიშნების სიტყვიერი ელემენტები აღრევამდე მსგავსია.

რაც შეეხება ნიშნების ჟღერადობას, მომხმარებელი მათ გამოთქვამს, როგორც „დივა” და „დივო”. ამასთან, კირილიცის დამწერლობის სპეციფიკიდან გამომდინარე, განცხადებული ნიშანი „Диво”, ისევე როგორც დაპირისპირებული ნიშანი „Дива” შესაძლებელია გამოთქმულ იქნეს იდენტურად - „დივა”, რაც კიდევ უფრო ზრდის ნიშნების აღრევის შესაძლებლობას, მათ შორის ასოცირების

შედეგად. შესაბამისად, კოლეგიას მიაჩნია, რომ ნიშნები მსგავსია საერთო შთაბეჭდილებით.

გარდა ამისა, ნიშნები რეგისტრირდება მე-16 კლასის საქონლის მსგავსი ჩამონათვლისათვის, რაც კიდევ უფრო ზრდის ნიშნების აღრევის შესაძლებლობას.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო პალატის კოლეგიას მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში ადგილი აქვს „სასაქონლო ნიშნების შესახებ" საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებს და საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისათვის „Диво" (საიდ. №72088/03 IR 1155428) დაცვის მინიჭებაზე უარის თქმის კანონით გათვალისწინებულ საფუძველს.

სააპელაციო პალატის კოლეგიამ იხელმძღვანელა „სასაქონლო ნიშნების შესახებ" საქართველოს კანონის მე-16 მუხლით, სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტის თავმჯდომარის 2011 წლის 18 მარტის №02 ბრძანებით დამტკიცებული საქპატენტთან არსებული სააპელაციო პალატის დებულების მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. კომპანიის პაბლიკ ჯოინტ სტოკ კომპანი „კიივსკი კარტონნო-პაპეროვიი კომბინატ" (Public Joint-Stock Company "Kyivskyi kartonno-paperovyi kombinat") სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.
2. ძალაში დარჩეს საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის „საქპატენტის" სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2014 წლის 10 თებერვლის №234/03 ბრძანება საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისათვის დაცვის მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ.
3. წინამდებარე გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს მცხეთის რაიონული სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში

(მისამართი: ქ. მცხეთა, სამხედროს ქ. №17) გადაწყვეტილების გაცნობის/ჩაბარების დღიდან ერთი თვის ვადაში.

კოლეგიის თავმჯდომარე:	მ. ფრუიძე
წევრები:	ი. მუღალაშვილი
	ქ. კილაძე